1981

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

№ 3
მარტი
1981

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა


# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

**№ 3 (483) მარტი 1981 წელი**


## შინაარსი

### განყოფილება პირველი


43. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

44. დებულება საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფისა


### განყოფილება მეორე


45. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „ხანძარში მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ

46. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

47. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. პ. ლუკაშოვისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

48. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

49. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. გ. ბედუაშვილისათვის „საქართველოს სსრ ახალგაზრდობის დამსახურებული დამრიგებლის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

50. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ტ. დიმიტრიენკოსათვის „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ეროვნული

51. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. [illegible]სათვის „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

52. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ზ. ს. ჯაფარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

53. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

54. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ა. აბშილავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

55. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ტ. ა. გვათუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

56. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. მ. კემულარია-ნათაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

57. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ს. მამალაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

58. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ი. სანაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

59. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ქ. ი. არეშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

60. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

61. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ზუგდიდის პოლიტექნიკური ტექნიკუმის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

62. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ი. ებანოიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

63. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. გ. კოზმანიშვილს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

64. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. ი. კოკოშაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

65. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ი. ლომიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

საინფორმაციო ცნობები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განყოფილება პირველი

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 43 საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

სამოქალაქო სამართალწარმოების კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილი:

„სასარჩელო წარმოების საქმეებზე შეაქვთ სასარჩელო განცხადებები, ხოლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილ საქმეებზე და განსაკუთრებული წარმოების საქმეებზე — საჩივრები და განცხადებები".

2. მე-7 მუხლის მეოთხე ნაწილს სიტყვის „მოსამართლეს" შემდეგ დაემატოს სიტყვები „ან სახალხო მსაჯულს".

3. მე-10 მუხლიდან ამოღებულ იქნეს მესამე ნაწილი და ამასთან დაკავშირებით მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ნაწილები შესაბამისად ჩაითვალოს მესამე, მეოთხე და მეხუთე ნაწილებად.

4. მე-18 მუხლში სიტყვები „საკავშირო სავაჭრო პალატასთან" შეიცვალოს სიტყვებით „სსრ კავშირის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან".

5. 25-ე მუხლს სიტყვის „მოსამართლე" შემდეგ დაემატოს სიტყვები „სახალხო მსაჯული".

6. 27-ე მუხლში:

ა) კოდექსის ქართულ ტექსტში მეორე და მესამე ნაწილები გაერთიანდეს ერთ ნაწილად და ჩაითვალოს მეორე ნაწილად, ხოლო მეოთხე და მეხუთე ნაწილები შესაბამისად ჩაითვალოს მესამე და მეოთხე ნაწილებად;

ბ) მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„რამდენიმე მოსამართლის ან სასამართლოს მთელი შემადგენლობის მიმართ განცხადებული აცილების საკითხს გადაწყვეტს იგივე სასამართლო სრული შემადგენლობით ხმების უბრალო უმრავლესობით. მოსამართლის ან სახალხო მსაჯულის მიმართ განცხადებული აცილების საკითხს გადაწყვეტენ დანარჩენი მოსამართლეები აცილებული მოსამართლის ან სახალხო მსაჯულის დაუსწრებლად";

გ) მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„აცილების საკითხის გადაწყვეტისას ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში მოსამართლე ან სახალხო მსაჯული აცილებულად ჩაითვლება".

7. 28-ე მუხლის მეხუთე ნაწილს სიტყვების „სასამართლოს წევრის" შემდეგ დაემატოს სიტყვები „სახალხო მსაჯულის".

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. 39-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 39.** სამუშაოზე აღდგენის საქმეებში მესამე პირთა ჩაბმა

უკანონოდ დათხოვნილი ან გადაყვანილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენის საქმეში სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით მოპასუხის მხარეზე მესამე პირად ჩააბას თანამდებობის ის პირი, რომლის განკარგულებითაც მოხდა დათხოვნა ან გადაყვანა. თუ დადგინდება, რომ დათხოვნა ან გადაყვანა მოხდა კანონის აშკარა დარღვევით, სასამართლომ იმავე პროცესზე დამნაშავე თანამდებობის პირი უნდა დაავალდებულოს აუნაზღაუროს სახელმწიფო საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას, კოლმეურნეობას, სხვა კოოპერაციულ ორგანიზაციას, მათ გაერთიანებას და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციას ის ზიანი, რაც დაკავშირებულია იძულებით გაცდენილი ან დაბალხელფასიანი სამუშაოს შესრულების დროის ანაზღაურებასთან, შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული ოდენობით“.

9. 43-ე მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 43.** სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, პროფკავშირების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების და ცალკეული მოქალაქეების მონაწილეობა პროცესში სხვა პირთა უფლებების დასაცავად“

10. 46-ე მუხლში:

ა) მე-2 პუნქტში სიტყვები „დაწესებულებების, საწარმოების და ორგანიზაციების“ შეიცვალოს სიტყვებით „საწარმოების დაწესებულებების და ორგანიზაციების“;

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3) პროფესიული კავშირების რწმუნებულები — მუშა-მოსამსახურეთა, კოლმეურნეობების წევრთა, აგრეთვე სხვა პირთა საქმეებზე, რომელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვასაც ახორციელებენ პროფესიული კავშირები“.

11. 47-ე მუხლში სიტყვები „დაწესებულების, საწარმოს ან ორგანიზაციის“ და „სასოფლო (სადაბო)“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით „საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის“ და „სადაბო და სასოფლო“.

12. 49-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„წარმომადგენლებად სასამართლოში არ შეიძლება იყვნენ ადვოკატები, რომლებმაც დავალება იურიდიული დახმარების აღმოსაჩენად მიიღეს ადვოკატურის შესახებ სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესების დარღვევით. ადვოკატთა კოლეგიიდან გარიცხული პირები სასამართლოს მიერ არ შეიძლება დაშვებულ იქნან წარმომადგენლებად ამ კოდექსის 46-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში“.

13. 78-ე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები „სახელმწიფო დაწესებულებას ან საწარმოს“ შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო საწარმოს, დაწესებულებას ან ორგანიზაციას“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. 85-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 85.** სახელმწიფო ბაჟის ოდენობა

თითოეული, როგორც ძირითადი, ისე შეგებებული სასარჩელო განცხადებისათვის, განცხადებისათვის წინასახელშეკრულებო დავის გამო, მესამე პირის განცხადებისათვის, რომელიც უკვე დაწყებულ პროცესში დამოუკიდებელ მოთხოვნას აყენებს დავის საგანზე, განცხადებისათვის (საჩივრისათვის) განსაკუთრებული წარმოების საქმეებზე გადახდება სახელმწიფო ბაჟი შემდეგი ოდენობით:

1) თუ სარჩელის ფასი 20 მანეთამდეა — 30 კაპიკი;

2) თუ სარჩელის ფასი 20 მანეთზე მეტია, 50 მანეთამდე — 50 კაპიკი;

3) თუ სარჩელის ფასი 50 მანეთზე მეტია, 500 მანეთამდე — სარჩელის ფასის ორი პროცენტი;

4) თუ სარჩელის ფასი 500 მანეთზე მეტია — სარჩელის ფასის 6 პროცენტი;

5) კოლმეურნეობათა, საკოლმეურნეობათაშორისო, სახელმწიფო-საკოლმეურნეო საწარმოების, ორგანიზაციების ან მათი გაერთიანებების დავის გამო სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან, აგრეთვე ურთიერთშორის — სარჩელის ფასის 1 პროცენტი, მაგრამ არანაკლებ 10 კაპიკისა;

6) განქორწინების შესახებ სარჩელისათვის — 10 მანეთი;

7) სარჩელისათვის იმ პირებთან განქორწინების შესახებ, რომლებიც დადგენილი წესით აღიარებული არიან უკვალოდ დაკარგულად ან არაქმედუნარიანად სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო ან მსჯავრდებული არიან თავისუფლების აღკვეთით ვადით არანაკლებ სამი წლისა — 30 კაპიკი;

8) საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შეცვლის ან მოშლის, მემკვიდრეობის მიღების ვადის გაგრძელების, ყადაღისაგან ქონების განთავისუფლების შესახებ სარჩელების და არაქონებრივი ხასიათის სხვა სარჩელებისათვის (ან სარჩელებისათვის, რომლებიც არ შეფასდება), აგრეთვე განცხადებისათვის (საჩივრისათვის) განსაკუთრებული წარმოების საქმეებზე — 30 კაპიკი;

9) წინასახელშეკრულებო დავისათვის — 5 მანეთი.

სასამართლო გადაწყვეტილების გამო შეტანილ საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდება სასარჩელო განცხადების (განსაკუთრებული წარმოების საქმეებზე საჩივრის) შეტანისათვის გადასახდელი განაკვეთის, ხოლო ქონებრივი დავისათვის — სადავო თანხიდან გამოანგარიშებული განაკვეთის 50 პროცენტის ოდენობით.

სასამართლოს განჩინების გამო შეტანილ კერძო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი არ გადახდება.

მოქალაქეები, საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები მათთვის ალიმენტის საქმეებთან დაკავშირებით საბუთების გაცემისას თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმეში არსებული საბუთების პირების, აგრეთვე სასამართლოს გადაწყვეტილების, განჩინებისა და სასამართლოს სხვა დადგენილების პირების მეორედ გაცემისას გადახდება სახელმწიფო ბაჟი 20 კაპიკის ოდენობით“.

15. 88-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი** 88. სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლება

სახელმწიფო შემოსავლის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან:

1) მოსარჩელეები — მუშები და მოსამსახურეები — სარჩელებზე ხელფასის გადახდევინებისა და შრომითი სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე სხვა მოთხოვნათა გამო; კოლმეურნეები — სარჩელებზე კოლმეურნეობების მიმართ შრომის ანაზღაურებისა და შრომით საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა მოთხოვნათა გამო;

2) მოსარჩელეები — საავტორო უფლებიდან, აგრეთვე აღმოჩენის, გამოგონების, რაციონალიზატორული წინადადებისა და სამრეწველო ნიმუშების უფლებიდან გამომდინარე სარჩელებზე;

3) მოსარჩელეები — ალიმენტების გადახდევინების სარჩელებზე;

4) მოსარჩელეები — დასახიჩრებით, ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სარჩელებზე;

5) სოციალური დაზღვევის ორგანოები და სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები — დაზარალებულისათვის გაცემული თანხების, დახმარების და პენსიის ზიანის მიმყენებლისაგან გადახდევინების რეგრესულ სარჩელებზე, ხოლო სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები აგრეთვე არასწორად გაცემული დახმარებისა და პენსიის გადახდევინების სარჩელებზე;

6) მოსარჩელეები — დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების სარჩელებზე;

7) მოქალაქეები — განქორწინების საქმეების საკასაციო საჩივრებზე;

8) პროკურატურის ორგანოები, აგრეთვე სახელმწიფო მმართველობის ორგანოები, პროფკავშირები, სახელმწიფო საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, მათი გაერთიანებები, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები ან ცალკეული მოქალაქეები, რომლებმაც მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მიმართეს სასამართლოს განცხადებით სხვა პირთა უფლებებისა და ინტერესების დასაცავად;

9) საფინანსო ორგანოები — განსაკუთრებული წარმოების საქმეებზე სასამართლოში განცხადების შეტანისათვის;

10) მოქალაქეები, ადმინისტრაციული ორგანოები და თანამდებობის პირები — ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ საქმეებზე.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფო შემოსავლის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან მხარეთა გათავისუფლების სხვა შემთხვევები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლოს ან მოსამართლეს მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით უფლება აქვს მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო შემოსავლის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან".

16. 90-ე მუხლში:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გადახდილი სახელმწიფო ბაჟი უნდა დაბრუნდეს მთლიანად ან ნაწილობრივ შემდეგ შემთხვევებში:

1) თუ ბაჟი შეტანილია იმაზე მეტი, რასაც მოქმედი კანონმდებლობა მოითხოვს;

2) თუ უარი ეთქვათ განცხადების მიღებაზე;

3) თუ მოსარჩელეს დაუბრუნდა სასარჩელო განცხადება ამ კოდექსის 137-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლებით;

4) თუ საქმეზე წარმოება შეწყვეტილია ამ კოდექსის 226-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლებით;

5) თუ განცხადება დატოვებულია განუხილველად ამ კოდექსის 228-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლებით;

ბ) მუხლს მეორე ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ახალი ნაწილი:

„სსრ კავშირის კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ბაჟი უნდა დაბრუნდეს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილ სხვა შემთხვევებშიც".

ამასთან დაკავშირებით მესამე და მეოთხე ნაწილები შესაბამისად ჩაითვალოს მეოთხე და მეხუთე ნაწილებად.

17. 96-ე მუხლის მეორე ნაწილს სიტყვების „იურიდიული კონსულტაციის" შემდეგ დაემატოს სიტყვები „ან სახელმწიფო შემოსავლის".

18. 99-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „ან ცალკეული მოქალაქეების მიერ სხვა პირთა უფლებების და ინტერესების დასაცავად აღძრულ" შეიცვალოს სიტყვებით „ან ცალკეული მოქალაქეებისათვის, რომლებმაც სასამართლოს მიმართეს სხვა პირთა უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების დასაცავად".

19. 124¹-ე მუხლში სიტყვები „მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა ხანგრძლივი ვადით (არანაკლებ სამი წლისა)" შეიცვალოს სიტყვებით „დანაშაულის ჩადენისათვის მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა ვადით არანაკლებ სამი წლისა".

20. 183-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 183.** მოქალაქეთა პირადი მიმოწერის და სატელეგრაფო შეტყობინების გამოქვეყნება

მიმოწერისა და სატელეგრაფო შეტყობინების საიდუმლოების დაცვის მიზნით მოქალაქეთა პირადი მიმოწერისა და პირადი სატელეგრაფო შეტყობინების გამოქვეყნება ღია სამსჯავრო სხდომაზე დაიშვება მხოლოდ იმ პირთა თანხმობით, რომელთა შორისაც ხდებოდა ეს მიმოწერა და სატელეგრაფო შეტყობინება. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი მიმოწერისა და სატელეგრაფო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეტყობინებების გამოქვეყნება და გამოკვლევა ხდება დახურულ სასამართლო სხდომაზე“.

21. 203-ე მუხლის მეექვსე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„განქორწინების საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში უნდა განისაზღვროს თანხა 50-დან 200 მანეთამდე, რაც გადახდება ერთს ან ორივე მეუღლეს განქორწინების რეგისტრაციის დროს, ხოლო იმ პირებთან განქორწინების საქმეებისათვის, რომლებიც დადგენილი წესით აღიარებული არიან უკვალოდ დაკარგულად, ან არაქმედუნარიანად სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო, ან რომელთაც დანაშაულის ჩადენისათვის მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა ვადით არანაკლებ სამი წლისა, აღნიშნული თანხა არ გადახდება“.

22. 217-ე მუხლის მეოთხე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4) უკანონოდ დათხოვნილი ან გადაყვანილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ“.

23. მე-18 თავის დასახელებაში სიტყვა „საჩივრის“ შეიცვალოს სიტყვით „განცხადების“.

24. ოცდამესამე თავის დასახელებას და 244-ე მუხლის სათაურს სიტყვების „ადმინისტრაციული ორგანოების“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ან თანამდებობის პირების“.

25. 246-ე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვების „ადმინისტრაციული ორგანოს“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ან თანამდებობის პირის“.

26. 248-ე მუხლში სიტყვები „რაიონული (საქალაქო)“ და „სასოფლო (სადაბო)“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით „რაიონული საქალაქო, ქალაქის რაიონული“ და „სადაბო ან სასოფლო“.

27. 292-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პროკურორს ან პროკურორის მოადგილეს შეაქვს პროტესტი სასამართლოს უკანონო ან დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებაზე, მიუხედავად იმისა, მონაწილეობდა თუ არა იგი ამ საქმეში. პროკურორების თანაშემწეებს, სამმართველოებისა და განყოფილებების პროკურორებს შეუძლიათ შეიტანონ პროტესტი მხოლოდ იმ საქმეებზე, რომელთა განხილვაშიც ისინი მონაწილეობდნენ“.

28. 304-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე პუნქტი:

„2) დანიშნოს საკასაციო ინსტანციაში საქმის განხილვის თარიღი იმ ანგარიშით, რომ საქმე განხილულ იქნეს არა უადრეს ხუთი დღისა და არა უგვიანეს ათი დღისა საქმის საკასაციო ინსტანციაში შესვლის დღიდან“;

ამასთან დაკავშირებით მე-2 და მე-3 პუნქტები შესაბამისად ჩაითვალოს მე-3 და მე-4 პუნქტებად.

29. 314-ე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, პროფკავშირების, სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, სხვა კოოპერაციული ორგანიზაციების, მათი გაერთიანებების, სხვა საზოგადო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებრივი ორგანიზაციების რწმუნებულები ან ცალკეული მოქალაქეები, რომლებმაც მიმართეს სასამართლოს სხვა პირთა უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების დასაცავად, თუ მათ არ გაუსაჩივრებიათ გადაწყვეტილება, გამოდიან მხარეებისა და მესამე პირთა შემდეგ".

30. 333-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „რაიონების (ქალაქების) პროკურორებს" შეიცვალოს სიტყვებით „რაიონის, ქალაქის პროკურორებს".

31. 338-ე მუხლს სიტყვის „პროტესტი" შემდეგ დაემატოს სიტყვები „პროკურორის მიერ შეტანილი პროტესტი შეიძლება აგრეთვე გამოითხოვოს ზემდგომმა პროკურორმა".

32. 352-ე მუხლში:

ა) მე-3 და მე-7 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3) მოსამართლის ან სასამართლოს დადგენილება ქონებრივი გადახდევინების ნაწილში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე";

„7) სსრ კავშირის სავაჭრო-სამრეწველო პალატასთან არსებული საზღვაო და საგარეო ვაჭრობის საარბიტრაჟო კომისიების და ცალკეული საქმეების განსახილველად სპეციალურად შექმნილი არბიტრაჟების გადაწყვეტილება";

ბ) მე-15 პუნქტში სიტყვის „საქალაქო" შემდეგ დაემატოს სიტყვები „ქალაქის რაიონული";

გ) მე-16 პუნქტში სიტყვები „სასოფლო, სადაბო და საქალაქო" შეიცვალოს სიტყვებით „საქალაქო, სადაბო და სასოფლო".

33. 353-ე მუხლში:

ა) 1-ლი პუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „საზოგადოებრივი განაჩენების";

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3) არბიტრაჟის ორგანოების ბრძანებები, რომლებიც გაცემულია კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში არბიტრაჟისა და სამედიატრო სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე სახელმწიფო საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა, კოოპერაციულ ორგანიზაციათა, მათ გაერთიანებათა, სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შორის დავის გამო";

გ) მე-9 პუნქტში სიტყვის „საქალაქო" შემდეგ დაემატოს სიტყვები „ქალაქის რაიონული";

დ) მე-10 პუნქტში სიტყვები „სასოფლო, სადაბო და საქალაქო". შეიცვალოს სიტყვებით „საქალაქო, სადაბო და სასოფლო".

34. 354-ე მუხლის მესამე ნაწილში სიტყვები „ან საზოგადო ქონებისათვის" და „არასწორად დათხოვნის" შეიცვალოს სიტყვებით „ან სხვა საზოგადოებრივი ქონებისათვის" და „უკანონოდ დათხოვნის".

35. 383-ე მუხლში:

ა) პირველი და მეორე ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მოქალაქეთაგან გადახდევინება წარმოებს მოვალის პირადი ქონებიდან, აგრეთვე მისი წილიდან საერთო საკუთრებაში, მეუღლეთა თანასაკუთრებაში ანდა საკოლმეურნეო კომლის ან იმ მოქალაქეთა მეურნეობის ქონებაში, რომლებიც ეწევიან ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას სოფლის მეურნეობაში.

დანაშაულით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად გადახდევინება შეიძლება აგრეთვე მეუღლეთა თანასაკუთრებიდან და საკოლმეურნეო კომლის ან იმ მოქალაქეთა მეურნეობის ქონებიდან, რომლებიც ეწევიან ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას სოფლის მეურნეობაში, თუ სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს განაჩენით დადგენილია, რომ ეს ქონება შეძენილი იყო დანაშაულებრივი გზით მოპოვებული სახსრებით";

ბ) მეოთხე ნაწილში სიტყვები „ან ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის ვალდებულებებზე" შეიცვალოს სიტყვებით „ან იმ მოქალაქეთა მეურნეობის ვალდებულებებზე, რომლებიც ეწევიან ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას სოფლის მეურნეობაში".

36. 390-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მოვალისაგან ჩამორთმეულ სავალუტო ფასეულობას, ოქროსაგან, ვერცხლისაგან, პლატინისა და პლატინის ჯგუფის ლითონებისაგან დამზადებულ საიუველირო და სხვა საყოფაცხოვრებო ნაკეთობებს, ძვირფას ქვებს და მარგალიტს, აგრეთვე ასეთი ნაკეთობების ჯართს სასამართლო აღმასრულებელი შესანახად აბარებს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებას".

37. 393-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის" შეიცვალოს სიტყვებით „იმ მოქალაქის მეურნეობის ქონებაში, რომელიც ეწევა ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას სოფლის მეურნეობაში".

38. 399-ე მუხლში სიტყვების „გამასწორებელ სამუშაოს" შემდეგ დაემატოს სიტყვები „თავისუფლების აღუკვეთლად".

39. 403-ე მუხლში სიტყვები „დაწესებულება, საწარმო ან ორგანიზაცია" და „სახელმწიფო დაწესებულების ან საწარმოს ანდა კოლმეურნეობის და სხვა კოოპერაციული თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის" შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით „საწარმო, დაწესებულება ან ორგანიზაცია" და „სახელმწიფო საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, კოლმეურნეობის, სხვა კოოპერაციული ორგანიზაციის, მათი გაერთიანებების, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის".

40. 412-ე, 416-ე და 422-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 412**. ფასეულობათა რეალიზაცია

მოვალისაგან ჩამორთმეულ და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებისათვის შესანახად გადაცემულ სავალუტო ფასეულობათა, ოქროსაგან, ვერცხლისაგან, პლატინისა და პლატინის ჯგუფის ლითონებისაგან დამზადებულ საიუველირო და სხვა საყოფაცხოვრებო ნაკეთობათა, ძვირფასი ქვების და მარგალიტის, აგრეთვე ასეთი ნაკეთობების ჯართის ღირებულებას დადგენილ ფასებში გადაიხდის სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი ან სახელმწიფო საწარმო, დაწესებულება ან ორგანიზაცია, რომელთაც გადაეცათ ეს ფასეულობანი. სახელმწიფო სესხის ობლიგაციებს გაანაღდებენ სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროები";

ეროვნული ბიბლიოთეკა

„**მუხლი 416**. პირები, რომელთაც არ შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა საჯარო ვაჭრობაში

საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიათ სახელმწიფო საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, კოოპერაციულ ორგანიზაციებს (კოლმეურნეობების გარდა), მათ გაერთიანებებს, სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, აგრეთვე სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების, სასამართლოს, პროკურატურის, მილიციის თანამდებობის პირებს და მათი ოჯახის წევრებს";

**მუხლი 422**. სამუშაოზე აღდგენის შესახებ გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შედეგები

საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის მიერ უკანონოდ დათხოვნილი ან გადაყვანილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სასამართლო, ამ კოდექსის 214-ე მუხლით გათვალისწინებული წესით, გამოიტანს განჩინებას გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან მის აღსრულებამდე მთელი დროის საშუალო ხელფასის ან ხელფასის სხვაობის ანაზღაურების შესახებ.

სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის გამო მუშაკისათვის ფულადი თანხების გადახდით მიყენებული ზიანის ანაზღაურება საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ან ხელქვეითობის წესით ზემდგომი ორგანოს სარჩელით, აგრეთვე სასამართლოს ინიციატივით ან პროკურორის განცხადებით შეიძლება დაეკისროს თანამდებობის პირს, რომელსაც ბრალი მიუძღვის მუშაკის სამუშაოზე აღდგენის შესახებ გადაწყვეტილების შეუსრულებლობაში. ამ შემთხვევებში თანამდებობის პირისათვის დაკისრებული თანხის ოდენობას განსაზღვრავს შრომის კანონმდებლობა".

41. 441-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „საგამომძიებლო ან სასამართლო ორგანოების" შეიცვალოს სიტყვებით „წინასწარი გამოძიების ორგანოების ან სასამართლოს".

42. 77-ე, 86-ე, 409-ე მუხლებსა და 426-ე მუხლის სათაურსა და ტექსტში სიტყვები „დაწესებულებები, საწარმოები და ორგანიზაციები" შეიცვალოს სიტყვებით „საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები".

43. 117-ე, 118-ე, 120-ე, 374-ე და 386-ე მუხლებში სიტყვები „სასოფლო ან სადაბო", აგრეთვე „(სასოფლო, სადაბო)" და „სასოფლო (სადაბო)" შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით „სადაბო ან სასოფლო" და „სადაბო, სასოფლო".

44. 227-ე მუხლში სიტყვები „სასამართლო ორგანოებს" შეიცვალოს სიტყვით „სასამართლოს".

11. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის № 1 დანართის მე-2 და მე-11 პუნქტებში სიტყვები „სასოფლო-სამეურნეო არტელის" და „ერთპიროვნული საგლეხო მეურნეობიდან" შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით „კოლმეურნეობის" და „იმ მოქალაქეთა მეურნეობიდან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც ეწევიან ინდივიდუალურ შრომით საქმიანობას სოფლის მეურნეობაში".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი 1981 წლის 5 მარტი.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის 1981 წლის 26 მარტის
№ 525-X დადგენილებით

## 44 დებულება საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფისა

სსრ კავშირის კონსტიტუციით, საქართველოს სსრ კონსტიტუციით, „სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა სტატუსის შესახებ" კანონითა და საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების კანონებით გათვალისწინებული უფლებების უფრო ეფექტიანად გამოყენებისა და მოვალეობათა შესრულების მიზნით სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები ერთიანდებიან დეპუტატთა ჯგუფებში.

დეპუტატთა ჯგუფი იქმნება როგორც საწარმოო, ისე ტერიტორიული პრინციპის მიხედვით.

### I. ზოგადი დებულებები

**მუხლი 1.** საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფი იქმნება საბჭოს უფლებამოსილების ვადით შრომით კოლექტივებსა და საარჩევნო ოლქებში დეპუტატთა მუშაობის უფრო ეფექტიანად ორგანიზაციის მიზნით, მათი აქტიურობის ამაღლებისა და ინიციატივის განვითარებისათვის.

**მუხლი 2.** დეპუტატთა ჯგუფში შეიძლება გაერთიანდნენ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების დეპუტატები.

საწარმოო პრინციპით დეპუტატთა ჯგუფი იქმნება საწარმოში, ორგანიზაციაში, დაწესებულებაში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მომუშავე დეპუტატებისაგან. ტერიტორიული პრინციპის მიხედვით დეპუტატთა ჯგუფი იქმნება ქალაქების, მიკრორაიონების, საბინაო-საექსპლუატაციო კანტორების, სახლმმართველობების, სოფლებისა და სხვა დასახლებული პუნქტების ტერიტორიაზე.

დეპუტატთა ჯგუფში შეიძლება გაერთიანდნენ აგრეთვე მათი თანხმობით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები.

**მუხლი 3.** დეპუტატთა ჯგუფი იქმნება დეპუტატთა ინიციატივით, არანაკლებ 3 დეპუტატის შემადგენლობით. სხვადასხვა რგოლის საბჭოს დეპუტატები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგან დეპუტატთა ჯგუფის შემადგენლობას და ჯგუფის თავმჯდომარეს ამტკიცებს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის) საბჭო, ხოლო ერთი საბჭოს დეპუტატებისაგან დეპუტატთა ჯგუფის შემადგენლობას და ჯგუფის თავმჯდომარეს ამტკიცებს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭო.

**მუხლი 4.** დეპუტატთა ჯგუფის ძირითადი ამოცანაა დეპუტატთა დარაზმვა პარტიის, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების მიერ საბჭოების წინაშე დაყენებული ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად, საბჭოებსა და მშრომელთა შორის კავშირის განმტკიცება, საბჭოების ყოველდღიურ-პრაქტიკულ საქმიანობაში მოქალაქეთა უფრო მეტად ჩაბმა.

**მუხლი 5.** დეპუტატთა ჯგუფს მჭიდრო კავშირი აქვს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან, საბჭოს მუდმივ კომისიებთან, სახალხო კონტროლის ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებთან, ჯგუფის სამოქმედო ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან.

**მუხლი 6.** დეპუტატთა ჯგუფი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის კონსტიტუციით, საქართველოს სსრ კონსტრიტუციით, სსრ კავშირის კანონმდებლობითა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების, მათი აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებებითა და ამ დებულებით.

## II. დეპუტატთა ჯგუფის მოვალეობანი

**მუხლი 7.** დეპუტატთა ჯგუფი:

ა) ყოველმხრივ დახმარებას უწევს საწარმოებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და დაწესებულებებს სახალხო დეპუტატთა საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებისა და ზემდგომი ორგანოების დადგენილებების განხორციელებაში, ფართოდ იზიდავს ამ მუშაობაში მშრომელებს, ატყობინებს შესაბამის საბჭოსა და მის აღმასრულებელ კომიტეტს გადაწყვეტილებებისა და დადგენილებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, აგრეთვე შეაქვს წინადადებანი ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის თაობაზე;

ბ) ეხმარება საწარმოებსა და ორგანიზაციებს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების, გამოუყენებელი რესურსების გამოვლინების, შრომის ნაყოფიერების გაზრდის, წარმოების ეფექტიანობისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების საქმეში

გ) ხელს უწყობს საბჭოს სახალხო განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების, სავაჭრო, საზოგადოებრივი კვების, კომუნალური მეურნეობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისა და სხვა ორგანიზაციების მუშაობისადმი კონტროლის განხორციელებაში; აგრეთვე ილვწის მიკრორაიონებისა და დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობისა და გამწვანების საქმეში მოსახლეობის ჩასაბმელად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) კონტროლს უწევს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ ამომრჩეველთა განაწესების შესრულებას, იღვწის მათი განხორციელებისათვის, აწვდის ამომრჩევლებს ინფორმაციას საბჭოს, აღმასრულებელი კომიტეტის საქმიანობის, მათი გადაწყვეტილებების შესრულების მდგომარეობისა და დეპუტატთა ჯგუფის მუშაობის შესახებ;

ე) ხელს უწყობს ჯგუფის შემადგენლობაში შემავალ დეპუტატებს ამომრჩევლებისათვის, აგრეთვე შრომითი კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის ანგარიშების ჩაბარებაში, რომლებმაც ისინი დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს; ეხმარება დეპუტატებს ამომრჩეველთა მიღების ორგანიზაციაში, მათი წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების გადაწყვეტაში; ატყობინებს სახალხო დეპუტატთა საბჭოსა და მის ორგანოებს მოსახლეობის საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესახებ, სწავლობს საზოგადოებრივ აზრს;

ვ) მონაწილეობს საბჭოს სესიის, მისი აღმასრულებელი კომიტეტის და მუდმივი კომისიების სხდომებისათვის საკითხების მომზადებაში;

ზ) მოსახლეობაში, განსაკუთრებით ახალგაზრდობას შორის, ეწევა აღმზრდელობით მუშაობას, ხელს უწყობს საზოგადოებრივი წესრიგისა და სოციალისტური თანაცხოვრების წესების დაცვას;

თ) ეხმარება ჯგუფის შემადგენლობაში შემავალ დეპუტატებს „სსრ კავშირში სახალხო დეპუტატთა სტატუსის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული სხვა უფლება-მოვალეობების განხორციელებაში.

დეპუტატთა ჯგუფის წევრი ვალდებულია აქტიური მონაწილეობა მიიღოს ჯგუფის მუშაობაში და შეასრულოს მისი დავალებანი.

### III. დეპუტატთა ჯგუფის უფლებები

**მუხლი 8.** დეპუტატთა ჯგუფს უფლება აქვს:

ა) საბჭოს სესიაზე საბჭოს გამგებლობის საკითხებზე შეკითხვის წესით მიმართოს აღმასრულებელ კომიტეტს, მისი განყოფილებებისა და სამმართველოების ხელმძღვანელებს, საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს;

ბ) საბჭოს ან მისი აღმასრულებელი კომიტეტის დავალებით შეამოწმოს აღმასკომის განყოფილებებისა და სამმართველოების, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მუშაობა; საჭიროების შემთხვევაში გაეცნოს დოკუმენტებს, მოითხოვოს მასალები;

გ) შეიტანოს შესაბამის აღმასრულებელ კომიტეტში წინადადებები მიწათსარგებლობის, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, ბუნების დაცვის, მშენებლობის, შრომითი რესურსების გამოყენების, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული, საყოფაცხოვრებო და სხვა სახის მომსახურების დარგში საქმიანობის გასაუმჯობესებლად;

დ) საჭიროების შემთხვევაში შესაბამის ხელმძღვანელებსა და თანამდებობის პირთ, მოსთხოვოს განმარტება იმის თაობაზე, თუ რატომ არ შეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულდა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს, აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება ან მუდმივი კომისიების რეკომენდაციები;

ე) მიმართოს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოს, საწარმოს, დაწესებულებას და ორგანიზაციას, თანამდებობის პირებს დეპუტატის საქმიანობის საკითხებზე და მონაწილეობა მიიღოს აღძრული საკითხების განხილვაში. აღნიშნული ორგანოები და თანამდებობის პირები მოვალენი არიან განიხილონ ჯგუფის წინადადებები და პასუხი გასცენ დადგენილ ვადებში.

## IV. დეპუტატთა ჯგუფის მუშაობის ორგანიზაცია

**მუხლი 9.** დეპუტატთა ჯგუფის საქმიანობის ძირითადი ფორმაა მისი წევრების აქტიური ორგანიზატორული მუშაობა შრომითს კოლექტივებსა და საარჩევნო ოლქებში, დეპუტატთა ჯგუფი მუშაობს გეგმის მიხედვით, რომელიც მის სხდომებზე მტკიცდება; სხდომებს იწვევენ საჭიროებისდა მიხედვით; სხდომებზე განსახილველი საკითხები წყდება დეპუტატთა ხმის უბრალო უმრავლესობით.

**მუხლი 10.** დეპუტატთა ჯგუფის მუშაობას საფუძვლად უდევს საჯაროობა, შრომითს კოლექტივებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ყოველდღიური ურთიერთობა.

**მუხლი 11.** დეპუტატთა ჯგუფის რეკომენდაციებს ხელს აწერს ჯგუფის თავმჯდომარე და ისინი ზეპირი ან წერილობითი ფორმით გადაეცემა შესაბამის ორგანიზაციებს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

**მუხლი 12.** დეპუტატთა ჯგუფის თავმჯდომარე ორგანიზაციას უწევს ჯგუფის მუშაობას, მის წევრებს შორის ანაწილებს დავალებებს, ახორციელებს კონტროლს ჯგუფის რეკომენდაციათა შესრულებაზე, აღრიცხავს ჯგუფის მიერ ჩატარებულ მუშაობას, კავშირი აქვს აღმასრულებელ კომიტეტთან, საბჭოს მუდმივ კომისიებთან და საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან.

## V. ხელმძღვანელობა დეპუტატთა ჯგუფის საქმიანობისადმი

**მუხლი 13.** დეპუტატთა ჯგუფი მუშაობს სახალხო დეპუტატთა საბჭოს უშუალო ხელმძღვანელობით, საბჭოს შეუძლია სესიაზე მოისმინოს ანგარიში ან ინფორმაცია ჯგუფის მუშაობის შესახებ.

**მუხლი 14.** საბჭოს სესიებს შორის პერიოდში დეპუტატთა ჯგუფის მუშაობის კოორდინაციას ახორციელებს იმ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, რომელმაც დაამტკიცა ჯგუფის შემადგენლობა.

აღმასრულებელი კომიტეტი:

ა) აცნობს დეპუტატთა ჯგუფის წევრებს საბჭოს, აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებს, აგრეთვე ზემდგომი ორგანოების დადგენილებებს, ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შესრულების და ამომრჩეველთა განაწესების განხორციელების მიმდინარეობას, დეპუტატთა ჯგუფის წინადადებათა და რეკომენდაციათა სარეალიზაციოდ გაწეულ მუშაობას;

საქართველოს სახ. საჯ. ბიბ.

ბ) იხილავს ჯგუფის წინადადებებს და მათ გამო იღებს სათანადო ზომებს;

გ) სხდომებზე იწვევს დეპუტატთა ჯგუფის თავმჯდომარეს იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ჯგუფის მუშაობას ეხება

დ) განაზოგადებს და ავრცელებს ჯგუფის მუშაობის დადებით გამოცდილებას, აწყობს ჯგუფის წევრთა სწავლებას, უტარებს ინსტრუქტაჟს, უზრუნველყოფს მათი მუშაობის საჯაროობას.

**მუხლი 15.** სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები დეპუტატთა ჯგუფებს უზრუნველყოფენ შენობებით სხდომების ჩასატარებლად, აგრეთვე საჭირო საკანცელარიო ნივთებით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 45 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობის დროს გამოჩენილი მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის“** დაჯილდოვდნენ:

**ბოლქვაძე** იუსუფ ჯემალის ძე — შიდასამსახურის სერჟანტი.

**მიქელაძე** ჯემალ ფრიდონის ძე — მილიციის პოლკოვნიკი.

**ცინცაძე** ოთარ ახმედის ძე — შიდასამსახურის მაიორი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1981 წლის 26 მარტი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 46 საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**„საქართველოს სსრ სახალხო არტისტი“**

**დავიდოვას** ვერა ალექსანდრეს ასულს — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სოლო სიმღერის კათედრის პროფესორს.

**იაშვილს** ლილი მიხეილის ასულს — კომპოზიტორს.

**ციციშვილს** თამარ იოსების ასულს — კინომსახიობს.

**„საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი“**

**ნოდიას** დინარა მიხეილის ასულს — თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის გრაფიკის კათედრის დოცენტს, მხატვარ-გრაფიკოსს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე"

**ნიკოლაიშვილს** ბარბარე კირილეს ასულს — საქართველოს შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სასცენო მეტყველების კათედრის გამგეს.

**სვანიძეს** ნათელა დამიანეს ასულს — კომპოზიტორს.

### „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი"

**აბაზაძეს** მანანა ლევანის ასულს — საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული აკადემიური ანსამბლის სოლისტს.

**ბერძენიშვილს** ზინაიდა ილიას ასულს — მესხეთის (ახალციხე) სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.

**ებრალიძე-ანდრონიკაშვილს** ემა პავლეს ასულს — საქართველოს შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის მუსიკალური დისციპლინების კათედრის დოცენტის მოვალეობის შემსრულებელს.

**ნიკოლაძეს** ელენე ნიკოლოზის ასულს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტს.

**რიჟაკ-წიკლაურს** ლილი პეტრეს ასულს — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტს.

**შიოლაშვილს** აიდა გიორგის ასულს — საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრის მსახიობს.

**ჩხუბიანიშვილს** ნატალია ზაქარიას ასულს — საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრის სოლისტს.

**ჯაფარიძეს** ია მიხეილის ასულს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ქუთაისის ფილიალის სოლისტს.

### „საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი"

**ბოჭორიშვილს** რიმა პავლეს ასულს — მხატვარ-გრაფიკოსს.

**ზამბახიძეს** ლარისა ალექსანდრეს ასულს — მხატვარ-გრაფიკოსს.

**შენგელია-აბაშიძეს** ლორეტა სერგოს ასულს — მხატვარ-გრაფიკოსს.

### „საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი"

**საყვარელიძეს** ლალი პეტრეს ასულს — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საერთო ფორტეპიანოს კათედრის უფროს მასწავლებელს.

**სილიკაშვილს** ლეილა ზინოვის ასულს — თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საკონცერტმაისტერო კათედრის უფროს მასწავლებელს.

**ქუთელიას** ელისო ივანეს ასულს — საქართველოს შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის მუსიკალური დისციპლინების კათედრის დოცენტის მოვალეობის შემსრულებელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“

**გაწერელიას** ეთერ იასონის ასულს — თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის რეკვიზიტების საამქროს გამგეს.

**გიორგობიანს** ლამარა მელიტონის ასულს — საქართველოს მხატვართა კავშირის შემოქმედებითი სექციების გამგეს.

**ლოლუას** ნათელა ივანეს ასულს — საქართველოს მხატვართა კავშირის შემოქმედებითი სექციების გამგეს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორი“

**სულხანიშვილს** ელისაბედ დიმიტრის ასულს — ინსტიტუტ „საქსოფლმშენსახპროექტის“ პროექტის მთავარ არქიტექტორს.

**ყიფშიძეს** თინა იოსების ასულს — თბილისის ზონალური დაპროექტების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პროექტის მთავარ არქიტექტორს.

**ჯანბერიძეს** ლუდმილა ივანეს ასულს — ინსტიტუტ „საქალაქმშენსახპროექტის“ პროექტის მთავარ არქიტექტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 5 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**47** ამხ. ლ. პ. ლუკაშოვისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ მესაზღვრეთა, სასაზღვრო რაიონების მშრომელთა და ახალგაზრდობის ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდისათვის გაწეული დიდი და ნაყოფიერი მუშაობისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ანსამბლის უფროსს მაიორ ლეონიდ პეტრეს ძე **ლუკაშოვს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 17 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 48 „საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მეათე ხუთწლედში თავდადებული შრომისათვის, რკინიგზის ტრანსპორტზე ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკი"** მიენიჭოთ:

**ბერუაშვილს** ვასილ მიხეილის ძეს — თბილისის სალოკომოტივო დეპოს მემანქანეს.

**ხიზანიშვილს** გიორგი ვასილის ძეს — თბილისის სალოკომოტივო დეპოს მემანქანეს.

**ხიზანიშვილს** შალვა ალექსანდრეს ძეს — თბილისის სალოკომოტივო დეპოს ოსტატს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი

თბილისი, 1981 წლის 25 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 49 ამხ. ვ. გ. ბეჟუაშვილისათვის „საქართველოს სსრ ახალგაზრდობის დამსახურებული დამრიგებლის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ახალგაზრდობის შრომითი აღზრდის საქმეში დიდი დამსახურებისათვის ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ზეინკალს ამხ. ვარლამ გრიგოლის ძე **ბეჟუაშვილს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ ახალგაზრდობის დამსახურებული დამრიგებელი"**.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი

თბილისი, 1981 წლის 25 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 50 ამხ. დ. ტ. დიმიტრიენკოსათვის „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მეათე ხუთწლედში თავდადებული შრომისათვის, მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტრომავალმშენებლის" აპარატების საამქროს ზეინკალ-შემკეთებელს ამხ. დიმიტრი ტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთეს ძე **დიმიტრიენკოს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი“.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1981 წლის **25 მარტი.**

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 51 ამხ. ვ. ვ. შაუთიძისათვის „საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მეათე ხუთწლედში თავდადებული შრომისათვის, მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის სსრ კავშირის ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს თბილისის საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის“ საამწყობო საამქროს გამმართველს ამხ. ვლადიმერ ვარლამის ძე **შაუთიძეს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი“.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1981 წლის 25 მარტი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 52 ამხ ზ. ს. ჯაფარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის კაპიტალური მშენებლობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათი წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს „მშენინდუსტრიის“ სპეციალური საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ბიუროს საქართველოს ფილიალის სექტორის გამგე ამხ. ზურაბ სერგის ძე **ჯაფარიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1981 წლის 16 მარტი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 53 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

დ. გურამიშვილის წიგნის „დავითიანის“ რუსულ, უკრაინულ და ქართულ ენებზე დროულად და მაღალხარისხოვნად გამოცემისათვის **საქართველოს სსრ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდეს სრულიად საკავშირო გაერთიანება „ვნეშტორგიზდატისა“ და უკრაინის სსრ გამსახკომის გამომცემლობა „მისტეცტვოს“ მუშაკთა ჯგუფი:

**დიომინა** გალინა ალექსის ასული — საიმპორტო კანტორის უფროსი რედაქტორი.

**დერლემენკო** ევგენი ანატოლის ძე — გამომცემლობა „მისტეცტვოს“ მხატვარი, ფოტოპოემის ავტორი.

**ემელიანოვი** სერგეი პავლეს ძე — სრულიად საკავშირო გაერთიანება „ვნეშტორგიზდატის“ დირექტორი.

**კოფტოვი** ლეონიდ გიორგის ძე — სრულიად საკავშირო გაერთიანება „ვნეშტორგიზდატის“ დირექტორის მოადგილე იმპორტისა და ექსპორტის დარგში.

**ნარინსკაია** ათინა ლეონიდის ასული — გამომცემლობა „მისტეცტვოს“ მხატვრული რედაქტორი.

**რაკოვა** გალინა ვასილის ასული — საიმპორტო კანტორის უფროსი რედაქტორი.

**სიროტკინი** ვალენტინ ანატოლის ძე — საიმპორტო კანტორის დირექტორი.

**პავლივსკაია** ნატალია სიმონის ასული — გამომცემლობა „მისტეცტვოს“ რედაქტორი.

**შუკლინი** სიმონ პავლეს ძე — საიმპორტო კანტორის დირექტორის მოადგილე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 17 მარტი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 54 ამხ. მ. ა. აბშილავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტგანათლების რესპუბლიკური სახლის კონსულტანტი ამხ. მოკოდი ანტიფოს ძე **აბშილავა** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 17 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 55 ამხ. ტ. ა. გვათუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგის მოადგილე — პარტიული აღრიცხვის სექტორის გამგე ამხ. ტატიანა ალექსანდრეს ასული **გვათუა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 17 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 56 ამხ. ლ. მ. კემულარია-ნათაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის და დაბადების ოთხმოცდაათ წელთან დაკავშირებით ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ლუბოვ მანუჩარის ასული **კემულარია-ნათაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 17 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 57 ამხ. ლ. ს. მამალაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართულ საბჭოთა კინემატოგრაფიაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით კინოსტუდია

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ქართული ფილმის" მხატვარ-დამდგმელი ამხ. ლეონიდე სარდიონის ძე მამა-ლაძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 17 მარტი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 58 ამხ. გ. ი. სანაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის ნავთობის მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ტრესტ „საქნავთობგეოფიზიკის" მმართველი ამხ. გურამ ივანეს ძე **სანაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 17 მარტი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 59 ამხ. ქ. ი. არეშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ქრისტეფორე იოსების ძე **არეშიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 19 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 60 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მეათე ხუთწლედში თავდადებული შრომისათვის, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

**იუდინი** ივანე კუზმას ძე — სარემონტო საწარმოო გაერთიანება „საქავტორემონტის" ოსტატი-კონტროლიორი.

**ჯლანტიაშვილი** ზაქარია გრიგოლის ძე — ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის სამოქალაქო დაცვის უფროსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 25 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 61 ზუგდიდის პოლიტექნიკური ტექნიკუმის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საშუალო რგოლის სპეციალისტების მომზადების საქმეში დამსახურებისათვის და დაარსების 50-ე წლისთავთან დაკავშირებით **ზუგდიდის პოლიტექნიკური ტექნიკუმი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 26 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 62 ამხ. ა. ი. ებანოიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს რესპუბლიკური გაერთიანება „საქჯიშთესლმრეწვის" თავმჯდომარე ამხ. ალფრედ იოსების ძე **ებანოიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 26 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 63 ამხ. ა. გ. კოზმანიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ამხ. აპოლონ გრიგოლის ძე **კოზმანიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 26 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 64 ამხ. თ. ი. კოკოშაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისა და აქტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობისათვის თბილისის № 3 ბავშვთა პოლიკლინიკის ექიმი ამხ. თამარ იოსების ასული **კოკოშაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1981 წლის 26 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 65 ამხ. ა. ი. ლომიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახალხო კონტროლის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის რეფერენტი ამხ. ალექსანდრე იოსების ძე

**ლომიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

**თბილისი, 1981 წლის 26 მარტი.**

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

1981 წლის 26 მარტს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. სხდომაზე განიხილეს საკითხი სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების შესასრულებლად მუშაობის ორგანიზაციის შესახებ.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოებს. სამინისტროებს, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებს დაევალათ თავიანთ ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში განუხრელად იხელმძღვანელონ სკკპ XXVI ყრილობისადმი ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ დასმული ამოცანებითა და მითითებებით, ყრილობის მიერ დამტკიცებული „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებებით"; საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით და მის მიერ დასახული რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგრამით; შეიმუშაონ ღონისძიებათა კომპლექსი სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს რეკომენდაცია მიეცათ სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის შედეგები, „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებები" განიხილონ მორიგ სესიებზე და დასახონ კონკრეტული გზები საბჭოებისა და მათი ორგანოების ორგანიზატორული საქმიანობის სტილისა და მეთოდების სრულყოფისათვის, მუშაობაში დემოკრატიზმის პრინციპებისა და საჯაროობის ყოველმხრივი გაღრმავების, კრიტიკისა და თვითკრიტიკის შემდგომი განვითარებისათვის, ფორმალიზმის, უსულგულობისა და ბიუროკრატიზმის აღმოსაფხვრელად, საბჭოების დეპუტატებსა და საბჭოთა კადრებთან მუშაობის კარდი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნალური გაუმჯობესებისათვის, მათი პასუხისმგებლობის ასამაღლებლად, პარტიისა და მთავრობის დირექტივების, ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებებისა და საკუთარი დადგენილებების შესრულებაზე კონტროლის გასაძლიერებლად.

გადაწყდა სახალხო დეპუტატთა საბჭოების დეპუტატის მორიგი ერთიანი დღე მიეძღვნას სკკპ XXVI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დადგენილების შესრულების ორგანიზაციის საკითხებს.

სხდომაზე მოწონებულ იქნა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების, სკკპ XXVI ყრილობის დოკუმენტებისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მასალების შესწავლის თემატური გეგმა და დამტკიცდა სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების შესასრულებლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის ორგანიზაციულ ღონისძიებათა წარმოდგენილი გეგმა.

* *
*

სხდომამ იმსჯელა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა ჯგუფების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

აღინიშნა, რომ აჭარის ასს რესპუბლიკაში, ქ. ქ. თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, გორში და რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა ჯგუფები გარკვეულ მუშაობას ეწევიან საბჭოების წინაშე მდგომი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის. აღნიშნულ საბჭოებში დეპუტატთა ჯგუფების შექმნამ ხელი შეუწყო საარჩევნო ოლქებში დეპუტატთა ერთობლივი საქმიანობის გააქტიურებას, ამომრჩევლებთან კავშირის განმტკიცებას, მათ დარაზმვას საბჭოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად.

დეპუტატთა ჯგუფების ნაწილს დამტკიცებული აქვს სამუშაო გეგმები, რომლებითაც ძირითადად გათვალისწინებულია საბჭოს სესიისა და აღმასკომის სხდომისათვის საკითხების მომზადებაში მონაწილეობა, მიღებულ გადაწყვეტილებათა და ამომრჩეველთა განაწესების შესრულებისადმი კონტროლი, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის გაუმჯობესებისათვის ხელის შეწყობა, მიკრორაიონის ტერიტორიაზე გზების, ქუჩების, დასახლებული ადგილების კეთილმოწყობის, მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მუშაობის სრულყოფის საკითხები.

ამასთან პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა ჯგუფების საქმიანობაში მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სახალხო დეპუტატთა საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაავალა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების მოთხოვნათა შესაბამისად გარდაქმნან დეპუტატთა ჯგუფების საქმიანობა; ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით ფართოდ გამოიყენონ დეპუტატთა ჯგუფების შესაძლებლობანი სადეპუტატო საქმიანობის შემდგომი სრულყოფისათვის;

აქტიურად ჩააბან დეპუტატთა ჯგუფები XI ხუთწლედის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის მშრომელთა მობილიზაციის, შრომით კოლექტივებში დისციპლინის განმტკიცებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის საქმეში;

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ დეპუტატთა ჯგუფები აქტიურად მონაწილეობდნენ საბჭოების საქმიანობაში, საბჭოების მუდმივი კომისიებისა და აღმასკომების გადაწყვეტილებების, სახელმწიფო გეგმებისა და აღებული სოციალისტური ვალდებულებების შესრულების ორგანიზაციაში, მატერიალური და შრომითი რესურსების უკეთ გამოყენების, საბჭოთა დემოკრატიის პრინციპების განვითარების, სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების, წარსულის მავნე გადმონაშთებისა და სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში;

ფართოდ ჩააბან დეპუტატთა ჯგუფები მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების, სამედიცინო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესების საქმეში; მჭიდრო კავშირი დაამყარონ დეპუტატთა ჯგუფებსა, საბჭოების მუდმივ კომისიებსა და მოსახლეობის საზოგადოებრივ თვითმოქმედ ორგანოებს შორის;

მიიღონ ზომები ამომრჩეველთა განაწესების, საანგარიშო კრებებსა და სხვა შეხვედრების დროს ამომრჩეველთა მიერ გამოთქმული წინადადებების დროულად განხილვა-შესრულებისათვის; ამასთან ფართოდ ჩააბან დეპუტატთა ჯგუფები მშრომელთა განცხადებების და საჩივრების განხილვასა და წინადადებების რეალიზაციაში;

მხარი დაუჭირონ დეპუტატთა ჯგუფების შემოქმედებით ინიციატივას; გულისხმიერად და ოპერატიულად განიხილონ მათ მიერ დაყენებული საკითხები და მიიღონ საჭირო ზომები შემოტანილი წინადადებების დროულად შესასრულებლად;

უზრუნველყონ დეპუტატთა ჯგუფების საქმიანობის ადგილობრივ გაზეთებსა და რადიოგადაცემებში ფართოდ გაშუქება.

სხდომაზე დამტკიცდა საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფის დებულება.

*

* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა წერილებში დაყენებული საკითხების დროული განხილვისა და სწორი გადაწყვეტის უზრუნველყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფის მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

მიღებულ იქნა ცნობად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ინფორმაცია საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიაზე დეპუტატების მიერ გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების განხილვის შედეგების შესახებ.

მოისმინეს საკითხები: რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული, საბჭოების აღმასკომებში, სამინისტროებში, სახელმწიფო კომიტეტებსა და უწყებებში 1980 წელს მშრომელთა წერილების, განცხადებების, საჩივრების განხილვისა და მოქალაქეთა მიღების მდგომარეობის თაობაზე, 1980 წელს რესპუბლიკის მშრომელთა „შრომის ვეტერანის“ მედლით დაჯილდოების მდგომარეობის შესახებ და სხვ.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიერ გაწეული საქმიანობა. აღინიშნა, რომ სკკპ XXV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებების შესაბამისად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა, მისმა სამეცნიერო განყოფილებებმა და დაწესებულებებმა მეათე ხუთწლედში გარკვეული ღონისძიებანი განახორციელეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ეფექტიანობის ასამაღლებლად, სამეცნიერო პრობლემებისა და რესპუბლიკის წინაშე მდგომი სახალხო მეურნეობის ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად და მეცნიერული შედეგების პრაქტიკაში დანერგვის დასაჩქარებლად.

ერთგვარად გაუმჯობესდა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მუშაობის პირობები. დაინერგა მეცნიერების წარმოებასთან კავშირის გაძლიერების ისეთი ახალი მეთოდები, როგორიცაა სამეცნიერო დაწესებულებებთან დარგობრივი ლაბორატორიების ორგანიზაცია და საწარმოებთან, სამრეწველო ცენტრებში, სადაც აკადემიის დაწესებულებები არ არის, სამეცნიერო უჯრედების ჩამოყალიბება.

აკადემიის ინსტიტუტები მონაწილეობენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მიერ დამტკიცებული კომპლექსური გეგმების განხორციელებაში.

მეათე ხუთწლედში სახალხო მეურნეობაში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შედეგების დანერგვით მიღებულმა ეკონომიამ 140 მილიონ მანეთს გადააჭარბა, რაც ორჯერ მეტია მეცხრე ხუთწლედში მიღებულ ეკონომიაზე. ქართველ მეცნიერთა გამოკვლევების შედეგები წარმატებით ინერგება არა მარტო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში, არამედ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც.

№ 3
ეროვნული ბიბლიოთეკა

აკადემიის მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმებში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი განვითარებული სოციალიზმის ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, იდეოლოგიური და პოლიტიკური პრობლემების კვლევას, მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის, წარსულის გადმონაშთებთან ბრძოლის ეფექტიანობის ამაღლების საკითხებს.

ამასთან ერთად კომისიამ აღნიშნა, რომ რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებების საქმიანობაში ჯერ კიდევ არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებია.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ დეპუტატმა ნ. ლანდიამ.

განხილულ საკითხზე კომისიამ მიიღო სათანადო დადგენილება.

* * *

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სისტემაში საკონტროლო-სარევიზიო სამსახურის მუშაობის მდგომარეობა. აღინიშნა, რომ სამინისტროს სისტემაში შიდასაუწყებო კონტროლის მდგომარეობა ჯერ კიდევ სრულად არ უპასუხებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც გამომდინარეობენ საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის საკითხებზე რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებებიდან და გადაწყვეტილებებიდან.

სამინისტროს საწარმოებსა და გაერთიანებებში სახელმწიფო დისციპლინის დარღვევები ხშირად განპირობებულია საბუღალტრო აღრიცხვაში, საკონტროლო-სარევიზიო მუშაობაში, კადრების შერჩევასა და სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვაში არსებული სერიოზული ნაკლოვანებებით.

ჯერ კიდევ უმნიშვნელოა შიდასაუწყებო კონტროლის როლი უყაირათობასა და საფინანსო დისციპლინის სხვა დარღვევებთან ბრძოლაში; ირღვევა რევიზიების ჩატარების გეგმები, წესები და ვადები. საკონტროლო-სარევიზიო სამსახურის მუშაკები და სპეციალისტები უხეშად არღვევენ დოკუმენტური და კომპლექსური რევიზიების ჩატარების დადგენილ წესებს, არ ამოწმებენ ინვენტარიზაციების სისწორეს, ზერელედ ამოწმებენ სალაროებისა და ბანკის ოპერაციებს.

საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიების და შემოწმებების უხარისხოდ ჩატარება, მატერიალურ პასუხისმგებელ პირთა შერჩევისა და განაწილების არასწორი, მანკიერი პრაქტიკა ხელსაყრელ პირობას უქმნის ზოგიერთ მუშაკს დანაშაულებრივი ქმედობისათვის.

სამინისტროს სისტემაში არის წამატებებისა და გეგმების შესრულების შესახებ ანგარიშგებაში არასწორი მონაცემების წარდგენის შემთხვევები და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისი თავმჯდომარის მოადგილემ, დეპუტატმა ნ. ნეფედოვმა.

განხილულ საკითხზე კომისიამ მიიღო სათანადო დადგენილება.

კომისიების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე.

## საინფორმაციო ცნობები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 26 მარტის ბრძანებულებით „შრომის ვეტერანის“ მედლით დაჯილდოვდა 433 კაცი:

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისის კალინინის | რაიონიდან | — 38 |
| „ კიროვის | „ | — 26 |
| „ 26 კომისრის | „ | — 30 |
| „ საქარხნო | „ | — 74 |
| ქ. ფოთიდან | | — 30 |
| გეგეჭკორის | რაიონიდან | — 18 |
| გურჯაანის | „ | — 15 |
| დუშეთის | „ | — 19 |
| ზუგდიდის | „ | — 13 |
| ლენტეხის | „ | — 2 |
| ქარელის | „ | — 25 |
| ვანის | „ | — 143 |

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1981 წლის 26 მარტის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლით“ დაჯილდოვდა 108 მრავალშვილიანი დედა:

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისის ლენინის | რაიონიდან | — 5 |
| საქარხნო | „ | — 2 |
| ადიგენის | რაიონიდან | — 4 |
| ამბროლაურის | „ | — 1 |
| ასპინძის | „ | — 4 |
| ბოლნისის | „ | — 13 |
| გარდაბნის | „ | — 14 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | |
|---|---|---|
| გურჯაანის | რაიონიდან . . . . . | — 1 |
| დმანისის | „ . . . . . . . | — 7 |
| დუშეთის | „ . . . . . . . | — 5 |
| ზუგდიდის | „ . . . . . . . | — 5 |
| თელავის | „ . . . . . . . | — 2 |
| ლაგოდეხის | „ . . . . . . . | — 6 |
| ლანჩხუთის | „ . . . . . . . | — 9 |
| მარნეულის | „ . . . . . . . | — 22 |
| მახარაძის | „ . . . . . . . | — 8 |
| ყვარლის | „ . . . . . . . | — 9 |
| ცხაკაიის | „ . . . . . . . | — 1 |
| წულუკიძის | „ . . . . . . . | — 1 |
| ჩოხატაურის | „ . . . . . . . | — 1 |